

საქართველოს სახალხო დამცველი

ზეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე  
პირთა უფლებრივი  
მდგომარეობა  
საქართველოში



2016



საქართველოს  
სახალხო დამცველი



საქართველოს  
სახალხო დამცველი

შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე პირთა უფლებრივი  
მდგომარეობა საქართველოში

2016 წელი



[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.  
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და  
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

# სარჩევი

შესავალი .....	5
კონვენციის კოვულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობა.....	7
ქველმანაწიანობის საბარტლბარკივი რაჟორმის მონიტორინგი.....	8
შხმ პირტა პანსიონატბის მონიტორინგი .....	9
შხმ პირტა კოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა .....	11
რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შხმ პირტა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედება .....	11
შხმ პირტა საარჩევნო უფლება .....	13
სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება .....	15
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები .....	16
სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები.....	17
სოციალური დაცვის უფლება .....	18
ჯანმრთელობის უფლება, ბავშვზე ზრუნვა და სოციალური რეაბილიტაცია .....	19
ბანატლების უფლება.....	22
ქალდობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ .....	29
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები .....	32
ინსტიტუციაში მყოფ შხმ ქალთა მიმართ ქალდობა.....	35
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირტა ჯანმრთელობის უფლება...36	
ფსიქიკური ჯანმრთელობა და არსებული პრობლემები.....	37
რეკომენდაციები.....	40



## შესავალი

2016 წელს ორი წელი შესრულდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში კონვენცია) რატიფიცირებიდან. მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში კვლავ დგას კონვენციის ეფექტიანი განხორციელების მიმართულებით არსებული გამოწვევები. სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად არ მომხდარა კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება

არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა ეროვნული კანონმდებლობის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. საკანონმდებლო აქტების ნაწილი, გარდა იმისა, რომ არ არის თანხვედრაში კონვენციის მიდგომებთან, ეწინააღმდეგება კიდევ მას. კვლავ გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორცაა: უნარშეზღუდული,<sup>1</sup> დაინვალიდება.<sup>2</sup> საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს „გონივრული მისადაგებისა“ და „უნივერსალური დიზაინის“ ცნებებს.

გამოწვევას წარმოადგენს კონვენციის აღსრულების ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, რომლის საბოლოო სახით ფორმირება მნიშვნელოვანია განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფისთვის.

კონვენციის პრაქტიკაში განხორციელების მიმართულებით არსებული ხარვეზებიდან აღსანიშნავია, სოციალური მოდელის დანერგვის პროცესის შეფერხება. სამწუხაროდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება კვლავ ინდივიდის სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე ხდება.

სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება და დასაქმება. ამასთან, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. საჯარო დაწესებულებების, მათ შორის სამინისტროების უმრავლესობა არ იყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფორმაციის/სერვისების ადეკვატური ფორმით მიწოდების საშუალებებს. არ ხდება ვებ-გვერდების მოდერნიზებასა და ადაპტირებაზე ზრუნვა.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ყოველწლიურად მტკიცდება და მის ერთ-ერთ მიზანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ბავშვების, სოციალური ინ-

1 საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი დანართი N2. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2152364>>

2 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 3, „ტ1“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980>>

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 485 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>>

საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ მუხლი 12, მუხლი 25 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978>>

ტეგრაცია და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვა წარმოადგენს, სრულად ვერ ფარავს სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას.

ხარვეზებით მიმდინარეობს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ამასთან, გამონწვევაა სწავლების ხარისხი და უწყვეტობა.

არასაკმარისია დასაქმების კუთხით არსებული სახელმწიფო პროგრამები. გამონწვევას წარმოადგენს მცირერიცხოვანი პროგრამების ეფექტური იმპლემენტაციაც. სახელმწიფოს მიერ დასაქმების კუთხით გატარებული სხვადასხვა ღონისძიებების არაეფექტურობაზე მეტყველებს დასაქმებულ შშმ პირთა დაბალი რაოდენობა. 2016 წლის მონაცემებით საჯარო სექტორში დასაქმებული იყო 52 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,<sup>3</sup> ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 32-ს.

ქვეყანაში არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საჭირო სტატისტიკის წარმოება და ანალიზი, რაც უზრუნველყოფდა კონვენციის ეფექტური იმპლემენტაციისათვის აუცილებელი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას,<sup>4</sup> ასევე, პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისას, საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების დამკვიდრებას.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებს. რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა სახელმწიფო უწყებებს<sup>5</sup>. მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტზე, რეკომენდაციით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>6</sup> და ინკლუზიური განათლების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესახებ ზოგადი წინადადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.<sup>7</sup>

3 საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი №215–18.01.2017.

4 <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-saqartvelos-mtavrobas-shshm-pirebtan-dakavshirebuli-statistikis-warmoebisa-da-monacemta-shegrovebis-shesaxeb.page>

5 დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია თანასწორობის უფლების თავში.

6 <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-shinagan-saqmeta-saministros-shezguduli-shesadzleblobis-mqone-piris-mimart-ganxorcielebuli-diskriminaciis-faqtze.page>

7 <http://www.ombudsman.ge/ge/diskriminaciis-prevenciis-meqanizmi/gadawyvetilebebi/zogadi-winadadeba/zogadi-winadadeba-inkluziuri-ganatlebis-processhi-shezguduli-shesadzleblobis-nishnit-diskriminaciis-tavidan-acilebis-shesaxeb.page>

## კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობა

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან ერთად მოიცავს საკონსულტაციო საბჭოს და მონიტორინგის ჯგუფს.

საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს სახალხო დამცველთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომელიც შედგება: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.<sup>8</sup> საანგარიშო პერიოდში განახლდა საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა და 2016 წლის მდგომარეობით საბჭო შედგება 15 წევრისგან.<sup>9</sup>

2016 წლის განმავლობაში, დებულებით გათვალისწინებული წესის დაცვით, გაიმართა სათათბირო ორგანოს ხუთი სხდომა. მათ შორის, ერთი გაფართოებული სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები<sup>10</sup>.

კონვენციის პოპულარიზაციის მიზნით, 2016 წელს ჩატარებული ღონისძიებები მოიცავდა: საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის მისაწვდომი ფორმით გამოცემას;<sup>11</sup> საინფორმაციო ბუკლეტის მომზადებას და გავრცელებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე; საჯარო დებატებისა და ტრენინგების ორგანიზებას. მათგან აღსანიშნავია, ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის საკითხებზე“.<sup>12</sup> თვითმმართველი ქალაქების მერიისა და საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის კი ტრენინგი თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა და მათი საჭიროებების გათვალისწინება ბიუჯეტირების პროცესში“.<sup>13</sup>

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში, 2016 წელს დაიგეგმა და განხორციელდა სამთავრობო სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ჩატარდა

8 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3545.pdf>

9 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4005.pdf>

10 <http://www.ombudsman.ge/ge/news/shshh-pirta-uflebebis-konvenciis-popularizaciis-dacvisa-da-implementationaciis-monitoringis-sakonsultacio-sabchos-gafartoebuli-samushao-shexvedra.page>

11 ანგარიშის მოკლე ვერსია გამოიცა აუდიო წიგნის სახით, ხოლო შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა ბრაილის შრიფტით.

12 <http://www.ombudsman.ge/ge/news/treningi-shezduduli-shezdazleblobis-mqone-pirta-sakitxebze-momushave-organizaciebis-warmomadgenlebitvis.page>

13 <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-adamianis-uflebata-akademiis-treningi-tvitmmartveli-qalaqebis-meriisa-da-sakrebulos-warmomadgenlebitvis.page>



ქმედუნარიანობის სამართლებრივი რეფორმის კვლევა, პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად ჩატარდა შშმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი, მომზადდა სპეციალური ანგარიშები.

## ქმედუნარიანობის სამართლებრივი რეფორმის მონიტორინგი

2016 წელს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში ჩატარდა კვლევა – „ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე“. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის იმ ნაწილის შეფასება, რომელიც შეეხება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას და მის ფარგლებს. ანგარიშზე მუშაობის დროს შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეფორმის შემდგომი საკანონმდებლო რეალობა მეტწილად ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მცირე გამოჩასვლების გარდა, შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონვენციის მოთხოვნებს.

კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, პირდაპირ არის გათვალისწინებული საერთო სასამართლოს შესაძლებლობა – მხარდაჭერა დანიშნოს წვრილმანი გარიგებების დადების ნაწილში. მოქმედი რეგულაციები ბლანკეტურად ითვალისწინებს მხარდაჭერის ვალდებულებას, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას მაშინაც კი, როდესაც პირს სამედიცინო მომსახურებაში მხარდაჭერა არა აქვს დანიშნული. მხარდაჭერის მიმღები პირისთვის სასამართლოს და ინდივიდუალური შეფასების გარეშე ხდება რიგი უფლებების ბლანკეტური ჩამორთმევა. მათ შორის, მშობლის და ზოგიერთი მასთან დაკავშირებული უფლებების, ასევე საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების.

საერთო სასამართლოებთან მიმართებით გამოვლინდა, რომ მათი ნაწილი არ იცავს საპროცესო ვადებს, გადაწყვეტილებების დიდ უმრავლესობას საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გააჩნია, რაც შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილების შინაარსიდან გაირკვეს მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროება. საერთო სასამართლოების ის გადაწყვეტილებები კი, რომლებიც სამოტივაციო ნაწილს შეიცავს, შაბლონური და დაუსაბუთებელია. ამასთან არ არსებობს სარეზოლუციო ნაწილის ერთიანი ფორმა.

რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში კვლავ სისტემურად დგას მხარდაჭერის დანიშვნის ბლანკეტურობის, ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევისა და პლენარული მეურვეობის პრობლემები.

არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ასახულია კვლევის ანგარიშში.<sup>14</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სახალხო დამცველის, მოსამართლეთა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთობლივი შეხვედრის ჩატარება.<sup>15</sup>

## შპმ პირთა პანსიონატების მონიტორინგი

2016 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველისთვის მინიჭებული ორი მნიშვნელოვანი მანდატის – პრევენციის ეროვნული მექანიზმის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულების მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სახელმწიფოს ხუთ რეზიდენტულ დაწესებულებაში: თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, კოჯრის შპმ ბავშვთა სახლში, ძეგრის, დუშეთისა და მარტყოფის შპმ პირთა პანსიონატებში განთავსებული ბენეფიციარების უფლებათა დაცვის ხარისხი შეამოწმეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მიხედვით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მონყობა, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და პროფესიული კადრების ნაკლებობა და დაბალი პროფესიონალიზმი არსებით გამოწვევებს ქმნის შპმ პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის შეთავაზების თვალსაზრისით.

გამოწვევას წარმოადგენს არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, გარესამყაროსთან და ოჯახებთან (მათ შორის შვილებთან) კონტაქტის სიმწირე, სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაცია, ასევე დაწესებულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარვეზები და სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული პრობლემები.

14 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3948.pdf>>

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი N01/82–30.11.2016.

2017 წლის 26 იანვარს გაიმართა დისკუსია, სადაც განხილულ იქნა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ასახული რეკომენდაციები.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბენეფიციართა უსაფრთხოებაზე, მათ ემოციურ, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ასევე სერვისის მიმწოდებელთა მიერ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნის დონე უკიდურესად დაბალია. ბენეფიციარები არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება არ მიაჩნიათ ზრუნვის მნიშვნელოვან სტანდარტად.

შემაშფოთებელია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ბენეფიციართა უფლებების უხეში დარღვევების, მათ შორის, დისკრიმინაციული მოპყრობის მაპროვოცირებელი ხდება, ზოგჯერ კი ინვესტს შშმ პირთა სიცოცხლის უფლების დარღვევას. გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა შეიმუშავა რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების და ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის მიმართ.<sup>16</sup>

სპეციალურ ანგარიშში ასახული რეკომენდაციების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში, პანსიონატების ნაწილში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მონიტორინგის შემდგომ პერიოდში სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია მარტყოფის პანსიონატიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონირების გაზრდილი დინამიკის თაობაზე.<sup>17</sup> ასევე ამავე პანსიონატის ბენეფიციარებს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ.<sup>18</sup>

მოცემული საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება არის გადატვირთული. მძიმე შეზღუდვის მქონე პირების, ფსიქიკური და ქცევითი პრობლემების მქონე პირების ერთდროულად მართვის ბერკეტი კი ადმინისტრაციას არ გააჩნია, ბენეფიციარებს შორის კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების გავრცელებული ფორმაა მათი გადაყვანა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ან მუქარა გადაყვანაზე.

მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების მოგვარების თაობაზე შემუშავდა რეკომენდაცია სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიმართ.<sup>19</sup>

16 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3958.pdf>

17 საქმე N11746/16–12.09.2016; N12558/16–28.09.2016; N14619/16–14.11.2016.

18 საქმე N14098/16–02.11.2016.

19 <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-martyr-ofis-shezguduli-shesadzeblobis-mqone-pirta-pansionatshi-arsebuli-problemebis-taobaze.page>

## შპმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სხოვრებაში მონაწილეობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება გულისხმობს ამ პირთა უფლებას განახორციელონ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, დაიკავონ თანამდებობა სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე, შეასრულონ საჯარო ფუნქციები, საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიზნით, მნიშვნელოვანია, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში ამ პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა. ამ მიზნით საჭირო ღონისძიებებს ქვეყანაში 2010 წლიდან მოქმედი არაერთი სამთავრობო სამოქმედო გეგმა მოიცავდა, თუმცა რეალურად ხელშესახები შედეგი მიღწეული არ ყოფილა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010–2011 წლების სამოქმედო გეგმის<sup>20</sup> ამოცანას წარმოადგენდა აღნიშნულ პირებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობის გაზრდა. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ მიხედვით კი მთავარი ამოცანა იყო ამ პირების ჩართულობით რეგონულ და ადგილობრივ დონეზე საბჭოების შექმნა/ამოქმედება. სამოქმედო გეგმის ვადის დასრულებამდე მოცემული საკითხი შევიდა 2016–2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში.<sup>21</sup>

## რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედება

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთი-ერთი ფორმაა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ამ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ დასახელებული ღონისძიების შესწავლის შედეგად ცნობილი გახდა, რომ 2016 წლის მდგომარეობით საკონსულტაციო

20 საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

21 <[http://gov.ge/files/56299\\_56299\\_960302\\_1138-113.06.16.pdf](http://gov.ge/files/56299_56299_960302_1138-113.06.16.pdf)>

საბჭოები შექმნილია 34 თვითმმართველ ერთეულში, რაც არ შეადგენს მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობის (75) ნახევარს. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ერთი ნაწილის მხრიდან არ შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც აფერხებს ადგილობრივ დონეზე ამ პირთა ჩართულობას მათთვის მნიშვნელოვანი გეგმების, პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავების პროცესში.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა არსებულ საკონსულტაციო საბჭოებში შშმ პირთა და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობის ხარისხი. შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, ადგილობრივ საბჭოებში შშმ პირთა და მათი ორგანიზაციების მონაწილეობა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს თვითმმართველი ერთეულების დაბალი ინფორმირებულობით ამ პირთა უფლებებისა და მათი მონაწილეობის აუცილებლობის თაობაზე, ასევე ადგილებზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების არარსებობით და/ან მათი ნაკლები აქტიურობით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არსებული საბჭოების ფუნქციონირება, კერძოდ, საბჭოების შეკრების პერიოდულობა და მათ მიერ ინიცირებული საკითხების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ზოგ მუნიციპალურ ერთეულში საბჭოს რამდენიმე სხდომა გაიმართა (გურჯაანი-8 შეხვედრა; ზუგდიდი, ბაღდათი-6 სხდომა, წყალტუბო, ლანჩხუთი-5 სხდომა; ოზურგეთი, ჩხოროწყუ-4; ჩოხატაური-3; ცაგერის გამგეობა-2; ადიგენი-1), თუმცა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამისი ინფორმაცია არ ასახულა სახალხო დამცველისადმი მოწოდებულ კორესპონდენციებში, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სხდომები არ გამართულა.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ 2016 წლის იანვრიდან დაიწყო შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს რეორგანიზაციის პროცესი. იმისათვის, რომ რეორგანიზაციის პროცესის გამო არ მომხდარიყო საბჭოს ფუნქციონირების შეფერხება, მუშაობა გაგრძელდა თემატური ჯგუფების ფორმატში. 2016 წლის განმავლობაში გაიმართა თემატური ჯგუფების 15 შეხვედრა.<sup>22</sup>

რაც შეეხება საბჭოების მიერ განხილულ/ინიცირებულ საკითხებს, გამოკვეთილ დაბრკოლებებს და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ აღნიშნული საკითხების გათვალისწინებას, მუნიციპალიტეტების უმრავლესობიდან მიღებული კორესპონდენციების მიხედვით, ძირითადად, განხილული იყო შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნასთან დაკავშირებული თემები. მათივე ინფორმაციით, საბჭოების მიერ წარდგენილი საკითხების შესრულების პროცესში დაბრკოლებები არ გამოკვეთილა.

აქვე უნდა ითქვას, რომ თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტებში, მცირე გამონაკლისის გარდა, ნაკლებად არის ასახული შშმ პირთა საჭიროებები.

22 წერილი N10/267700-11.10.2016 სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრაციის N13283/16-12.10.2016.

სოციალური პროგრამების ნაწილში ამ პირთათვის წლების მანძილზე, ძირითადად, ერთი და იგივე შინაარსის ერთჯერადი ხასიათის ღონისძიებები იგეგმება, ისეთები, როგორიცაა: მატერიალური დახმარება, მედიკამენტების შესაძენი თანხის გამოყოფა, შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი ან სხვა სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი სპორტული და კულტურული აქტივობები და ა.შ.

მუნიციპალიტეტების მიერ მხოლოდ დასახელებული ღონისძიებების დაგეგმვა და შესრულება არ არის საკმარისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებული საჭიროებების უზრუნველყოფისთვის. მნიშვნელოვანია, მათი ფართო ჩართულობა ამ პირთა უფლებების სათანადოდ რეალიზებისა და გაეროს კონვენციის განხორციელების პროცესში.

## შშმ პირთა საარჩევნო უფლება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რეალიზების პროცესში მნიშვნელოვანია თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაზე ზრუნვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულია საქართველოს მოქალაქეთა აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, შშმ პირთა მიერ აღნიშნული უფლებების რეალიზების კუთხით გარკვეული ბარიერები არსებობს, რაც თავის მხრივ, უკავშირდება გარემოს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობის პრობლემებს.

არსებული გამოწვევები დაბრკოლებებს უქმნის შშმ პირებს, წარმოდგენილი იყვნენ საარჩევნო კომისიების საქმიანობაში; ასრულებდნენ საარჩევნო პროცესის დამკვირვებლის ფუნქციებს. მნიშვნელოვანია შშმ პირთა მიერ პასიური საარჩევნო ხმის უფლება, მისი განხორციელებისთვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიათა და გაერთიანებათა მზაობა თავიანთ საქმიანობაში ფართოდ ჩართონ და წარმოაჩინონ შშმ ადამიანები, აღიარონ მათი როლი. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა შშმ პირთა მიმართ.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მხოლოდ სამი პარტიის<sup>23</sup> წინასაარჩევნო პროგრამა იყო მისაწვდომი შშმ პირთათვის. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდი, რომელიც, უწყების ინფორმაციით, სრულადაა ადაპტირებული შშმ პირთა, მათ შორის უსინათლო პირთა საჭიროებების შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს მასზე წვდომას სპეციალური ელექტრონული პროგრამის გამოყენების გარეშე.<sup>24</sup>

23 პოლიტიკური პარტიები: ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს რესპუბლიკური პარტია.

24 „საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ პოლიტიკის დოკუმენტი, გიორგი ნონიაშვილი, 2016 წელი. სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 სამთავრობო სამოქმედო გეგმით“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვალდებულებაა, ადგილობრივი თვითმმართველობებთან ერთად: გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო უბნების ადაპტირება; მუდმივი/დროებითი პანდუსების მოწყობა; გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის სპეციალური კაბინების დამზადება/შესაბამის უბნებზე განთავსება; სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პროცედურების შესახებ ვიდეორგოლის სურდო თარგმანით (ჟესტური ენა) უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსება; იდენტიფიცირებულ უბნებზე პორტატული კომპიუტერების გამოყენებით ვიდეორგოლის გავრცელება და უსინათლო ამომრჩევლებისათვის არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების შესრულების თაობაზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციით, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის 73 საარჩევნო ოლქში შემაჯავალი 3 634 საარჩევნო უბნიდან ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 1115 საარჩევნო უბანი,<sup>25</sup> რაც არსებული უბნების მხოლოდ მესამედს შეადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში საარჩევნო უბნების 70% არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტირების ხარისხი სრულად არ შეესაბამება კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. ზოგადად, საარჩევნო პროცესების მისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს არ მოქმედებს კონვენციით დადგენილი უნივერსალური დიზაინის პრინციპი.<sup>26</sup>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ასევე შემდგომ პერიოდში გამართულ არჩევნებზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინები განთავსდა 800-ზე მეტ საარჩევნო უბანზე. რაც შეეხება იდენტიფიცირებულ უბნებზე პორტატული კომპიუტერების გამოყენებით ვიდეორგოლის გავრცელებას, ყრუ ამომრჩევლებისთვის 400 საარჩევნო უბანზე გავრცელდა პორტატული კომპიუტერები.

მისასალმებელია, რომ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2015 წლის 31 ოქტომბრის და 2016 წლის 22 მაისის შუალედური არჩევნებისთვის ცესკოს მიერ დამზადებული საინფორმაციო რგოლი უზრუნველყოფილი იყო ყრუ ამომრჩევლებისათვის და გადიოდა სურდო თარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით. 2016 წლის 22 მაისის შუალედური არჩევნებისთვის კენჭისყრის დღეს ცესკოში გამართული საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში, პირველად გადაიცემოდა სურდო თარგმანის თანხლებით.

25 ცესკოს საპასუხო კორესპონდენცია N01-07/2394 (21.09.2016).

26 „საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ პოლიტიკის დოკუმენტი, გიორგი ნონიაშვილი, 2016 წელი. სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

## სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება

გაეროს შშმ პირთა კონვენციის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სახელმწიფო ვალდებულია მოიძიოს შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის სტატისტიკური და კვლევითი მონაცემები (31-ე მუხლი).

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალურ მონაცემთა ბაზის შექმნას, განვითარებასა და სრულყოფას. კერძოდ, სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას, მათ შორის, ინფორმაციის მოძიებისა და კვლევის დარგში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეგისტრაციის საკითხის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარებში გათვალისწინებასა და შშმ პირთა მონაცემთა ბაზის შექმნას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან და საქართველოს სამინისტროებიდან,<sup>27</sup> გამოითხოვა ინფორმაცია დასახელებული უწყებების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში წარმოებული სტატისტიკის, დამუშავებული ინფორმაციისა და მათი გავრცელების შესახებ.<sup>28</sup>

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება შემოიფარგლება მხოლოდ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო რაოდენობის აღრიცხვით, მათ მიერვე მოწოდებული ინფორმაციის, თვითიდენტიფიკაციის საფუძველზე, რაც არ იძლევა სრულ ინფორმაციას ამ პირთა საჭიროებების შესახებ. ანალოგიურად, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებული სტატისტიკა მხოლოდ სოციალური პაკეტისა და სხვა სახელმწიფო გასაცემლის მიმღებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება

27 სულ 16 სამინისტროდან

28 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (წერილი N09-1/7967), საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო (წერილი N09-1/7962), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (წერილი N09-1/7962), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (წერილი N09-1/7481), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (წერილი N09-1/7968), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (წერილი N09-1/7484), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (წერილი N09-1/7965), საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (წერილი N09-1/7924), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (წერილი N09-1/7961), საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (წერილი N09-1/7923), საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (N09-1/7920), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (წერილი N09-1/7963), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (წერილი N09-1/7966), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (წერილი N09-1/7552), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (წერილი N09-1/7555), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (წერილი N09-1/7960), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (წერილი N09-1/7478) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (წერილი N09-1/7483).



ღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობისა და სამუშაოს მაძიებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის შესახებ, ვერ უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის შეკრებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფუნქციური შეზღუდვის თაობაზე, ასევე ვერ იძლევა დასაქმების მაძიებელ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

შეზღუდული შესაძლებლობის კონცეფციის მრავალნაზნაგოვანი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია არსებულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა უზრუნველყოს მათი უფლებების სრულყოფილი მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება.

სახელმწიფოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ წარმოებული სტატისტიკა და მონაცემები არ ასახავს ამ პირთა უფლებების დაცვის შესახებ ობიექტურ და ნათელ სურათს. შესაბამისად, რთულია ანალიზის გაკეთება, თუ რამდენად სრულყოფილად იცავს სახელმწიფო აღნიშნულ პირთა უფლებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა წინადადებით<sup>29</sup> მიმართა საქართველოს მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოებისა და მონაცემთა შეგროვების შესახებ. წინადადებაში ასახულია რეკომენდაციები ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის<sup>30</sup> მე-7 მუხლი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და მათ მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სხვა ბავშვების თანასწორად რეალიზებისთვის ადგენს სახელმწიფოს მხრიდან ყველა შესაბამისი ზომის მიღების ვალდებულებას. კონვენციის მიდგომების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას მათი საუკეთესო ინტერესები.

29 <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-saqartvelos-mtavrobas-shshm-pirebtan-dakavshirebuli-statistikis-warmoebisa-da-monacemta-shegrovebis-shesaxeb.page>

30 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289>

## სახელმწიფო ზრუნვის ქვეშე მოყოფი ბავშვები

2016 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში ფუნქციონირებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვის ორი დაწესებულება – სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალები: თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი და კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი, სადაც 2016 წელს ირიცხებოდა 86 ბენეფიციარი.

მისასაღებელია, რომ 2016 წლის 18 იანვარს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებისთვის – მზრუნველობამოკლებული, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისთვის, ალტერნატიული, მცირე ზომის მომსახურებების შექმნას.

მიმდინარე პროცესზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა და პროცესის დაჩქარება, რათა სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში განახორციელოს ბენეფიციარების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული ხარისხიანი ალტერნატიული სერვისით უზრუნველყოფა (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლის სერვისის შეთავაზება და სხვა).

მიზეზულია ალტერნატიული ზრუნვის სერვისების რაოდენობა, რაც განაპირობებს შშმ ბავშვების მიტოვების რისკს და თავის მხრივ აფერხებს დეინსტრუქციონალიზაციის პროცესს. 2016 წლის სექტემბრისთვის მონაცემებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების ქვეპროგრამაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა შეადგენდა 10 ბენეფიციარს. ამის პარალელურად კი მაღალრიცხოვნებით გამოირჩევა მომლოდინეთა მაჩვენებელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არაერთი ხარვეზი დაფიქსირდა მინდობით აღზრდისა<sup>31</sup> და რეინტეგრაციის<sup>32</sup> ქვეპროგრამების მონიტორინგის პროცესში. გამოიკვეთა ზემოაღნიშნულ სერვისებში განთავსებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მდგომარეობზე სახელმწიფოს მიერ რეგულარული ზედამხედველობის განხორციელების საჭიროება.

### ლ.ბ-ს შემთხვევა – მინდობით აღზრდაში განთავსებული არასრულწლოვნის ჯანმრთელობისა და სოციალური უფლებების დარღვევა

2016 წელს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობდა საქმეს,<sup>33</sup> რომელიც ეხებოდა 5 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის (დაუნის სინდრომის

31 „მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ“ სპეციალური ანგარიში, 2016 წელი <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3823.pdf>>

32 რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ“ სპეციალური ანგარიში, 2016 წელი <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3824.pdf>>

33 საქმე N15539/16.

მქონე) ლ.ბ–ს საჭიროებებს. კერძოდ, მისი მდგომარეობა მინდობით აღზრდაში ყოფნის პერიოდში უკიდურესად დამძიმდა და საჭირო გახდა რეანიმაციულ განყოფილებაში გადაყვანა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2009 წლიდან 2016 წლამდე ლ.ბ–ს მიმღებ ოჯახში იმყოფებოდა 16 არასრულწლოვანი. მათ შორის 6 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, ხოლო დანარჩენი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებით. ამჟამად, ოჯახში განთავსებულია 5 არასრულწლოვანი, მათ შორის 3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. ლ.ბ. 2011 წლის 27 ოქტომბრიდან იყო განთავსებული მინდობით აღზრდაში.

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა - მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით<sup>34</sup> ცნობილი გახდა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო დაიხურა მინდობით აღზრდის საქმე და იგი სტაციონარული მკურნალობის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში. აღნიშნულ დაწესებულებაში მას გაენია სპეციალისტების მომსახურება. ამჟამად იგი ჩართულია ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში.

ბავშვის უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მიერ იმ საკითხზე აპელირება, რომ ლ.ბ–ს მინდობით აღზრდაში ყოფნის პერიოდში, 2011–2016 წლებში, ხორციელდებოდა სათანადო მონიტორინგი მის მდგომარეობაზე, მაშინ, როდესაც იგი მინდობით აღზრდისა და ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის გარდა არ ყოფილა ჩართული არც ერთ სხვა სერვისში. გარდა ამისა, 2013 წლის დეკემბრის თვის შემდგომ მას აღარ მიუღია ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება.

აღნიშნული შემთხვევა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ არ ხდება მიმღებ ოჯახში აღსაზრდელების გონივრულად განთავსება (მათ შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით) და არ ხორციელდება სათანადო ზედამხედველობა მათ მდგომარეობაზე, რაც საფრთხის წინაშე აყენებს აღსაზრდელების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, განვითარებას და უსაფრთხოებას.

## სოციალური დახმარების უზრუნველყოფა

2016 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისგან დაცვის უფლებით ჯეროვნად და ეფექტურად ვერ სარგებლობენ.

34 №07/1654–28.12.2017; №04/2041–13.01.2017.

სიმწვავით გამოირჩევა სახელმწიფო სოციალური დახმარების მიღების პრობლემა იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“<sup>35</sup> დამტკიცების შემდეგ ბევრი მათგანისთვის არსებითად გართულდა საარსებო შემწეობით სარგებლობის უფლების მოპოვება.<sup>36</sup>

2016 წლის პირველი ივლისიდან განხორციელდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და შშმ ბავშვებისთვის სოციალური პაკეტის ზრდა 180 ლარამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზრდილი სოციალური პაკეტის ოდენობა კვლავ ვერ ფარავს შშმ ბავშვების საჭიროებებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ეფექტურ სოციალურ დაცვას აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში სტატუსის განსაზღვრა არ ეფუძნება სოციალურ მოდელს და ვერ გამოკვეთს ფუნქციურ საჭიროებებს. როგორც ცნობილია, სტატუსის დადგენა ხდება „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“<sup>37</sup> საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. კანონს შემოაქვს გარკვეული პროგრესული რეგულაციები, თუმცა სტატუსის მინიჭება დღემდე ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული დაავადებების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების ნუსხის საფუძველზე, რაც წარმოადგენს ცალსახად სამედიცინო მიდგომას და საჭიროებს ცვლილებას.

კვლავ პრობლემურია ადრეულ ასაკში (0-3 წლამდე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის საკითხი. დღეს მოქმედი რეგულაციები არ იძლევა პრობლემათა ადრეული იდენტიფიცირების, ინტერვენციისა და მისი მართვის ეფექტურ შესაძლებლობას.<sup>38</sup>

## ჯანმრთელობის უზღუბა, ბავშვზე ზრუნვა და სოციალური რეაბილიტაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვისთვის არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის დაცვის უზღუბა. ოჯახების მატერიალური მდგომარეობისა და სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არასაკმარისი ჩართულობის გამო, არასრულწლოვანთა გარკვეული ნაწილი საჭიროების შემთხვევაში ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებს და მედიკამენტოზურ დახმარებას.

35 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667586>>

36 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3727.pdf>>

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები“. სპეციალური ანგარიში, 2015 წელი, გვ 44.

37 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/15772>>

38 „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის ანგარიში, 2013 წელი, გვ 545, იხ. <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1934.pdf>>

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამა,<sup>39</sup> გარკვეულწილად, მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინტერესებისადმი, თუმცა სრულად ვერ ფარავს მათ საჭიროებებს. ამას, თავის მხრივ, განაპირობებს ის, რომ წლების განმავლობაში, შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა ხდება მიზნობრივი ჯგუფის სტატისტიკის არქონის პირობებში და საჭიროებების კვლევის გარეშე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის<sup>40</sup> ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეპროგრამები ვერ ფარავს არსებულ საჭიროებებს (იხ. ცხრილი 1).

პროგრამა მოიცავს „ადრეული განვითარების“ კომპონენტს, რომლის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან 3 წლამდე ან 3–დან 7–წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შესაძლებლობის შეზღუდვის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები, თუმცა პრობლემურია აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების გეოგრაფიული არეალი. კერძოდ, სერვისის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, თელავი და ლაგოდეხი. გარდა ამისა, ქვეპროგრამის ბიუჯეტის ლიმიტი ვერ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებას შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა ბავშვისთვის. ანალოგიური ვითარებაა „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამასთან“ დაკავშირებით, რადგან სერვისის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ თბილისში.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა „რეაბილიტაცია/აბილიტაციის“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამით მომსახურებას იღებენ 3 წლამდე ასაკისა და 3–დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ქვეპროგრამის ლიმიტირებული ბიუჯეტი არც ამ შემთხვევაშია საკმარისი შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა ბენეფიციარისთვის.

ოჯახების მხარდაჭერასა და შშმ პირების მიტოვების პრევენციას ისახავს მიზნად „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს განეკუთვნებიან 6–დან 18 წლამდე და 18 წლის ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და პირები. დღის ცენტრების დაფარვის გეოგრაფიული არეალი მოიცავს, როგორც დიდ ქალაქებს, ისე რეგიონებს, თუმცა ცენტრების რაოდენობა არ არის საკმარისი არსებული მოთხოვნის სრულად უზრუნველსაყოფად. 2016 წლის განმავლობაში დღის ცენტრების ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 718–მა შშმ ბავშვმა, მათგან მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 63–მა ბავშვმა. უწყების ცნობით,<sup>41</sup> ფიქსირდება პროგრამით სარგებლობის მსურველ პირთა, როგორც მომლოდინეთა, რიგი, თუმცა რაოდენობა დაკონკრეტებული არ არის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად „აუტისტიური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილ-


39 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3206217>>

40 კორესპონდენციები: №04/78048, №01/72262, №04/6624.

41 კორესპონდენცია №04/6624–03.02.2017.

იტაციის“ ქვეპროგრამა. აღნიშნული ხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით. გარდა ქვეპროგრამაში ჩართულ შპს ბავშვთა მცირე რაოდენობისა, გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ სერვისი მიეწოდება მხოლოდ 2015 წლის ივლისის თვემდე თბილისში რეგისტრირებულ შპს ბავშვებს, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგიონში მცხოვრებ იმ ბავშვებს, რომელთაც ასევე ესაჭიროებათ აღნიშნული მომსახურება.

**ცხრილი 1**



2016 წელს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობდა შემთხვევას, რომელიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის საჭიროებას შეეხებოდა,<sup>42</sup> კერძოდ, მას ესაჭიროებოდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსის გავლა. ბავშვის მშობლებს არ ჰქონდათ კურსის ღირებულების გადახდის შესაძლებლობა და ითხოვდნენ დახმარებას მკურნალობის დაფინანსებაში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით<sup>43</sup> ცნობილი გახდა, რომ „რეფერალური მომსახურების ფარგლებში“ პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების განწევაზე შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, პირმა ვერ მიიღო მისთვის აუცილებელი სერვისი. ცალსახაა, რომ ამგვარი პრეცედენტები გამოკვეთს არსებული სერვისების მოცულობის გაფართოების საჭიროებას.

ინდივიდუალური საქმეების შესწავლა ცხადყოფს, რომ გაჭიანურებულია შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა მიერ ცალკეული მიზნობრივი სოციალური ბენეფიტებით სარგებლობის საკითხი. მათ შორის აღსანიშნავია „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახ-

42 N14530/16 – 10.11.2016.

43 №01/90040–12.12.2016.

მარების“ ქვეპროგრამა, რომლის განხორციელების პროცესშიც არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების სათანადოდ ინფორმირება. გასული წლის ანალოგიურად,<sup>44</sup> მოსახლეობას კვლავ არ აქვს ჯეროვანი ინფორმაცია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში არსებული პროგრამებისა თუ სოციალური დახმარების შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ქვეპროგრამების მისაწვდომობას აბრკოლებს მწირი დაფინანსება, არასაკმარისი გეოგრაფიული მოცვა და სხვა ფაქტორები. შშმ ბავშვთა საჭიროებებზე ორიენტირებული ქვეპროგრამების უმეტესობაში გვხვდება მომლოდინეთა რიგები. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ შესაბამისი ხარისხისა და მოცულობის სერვისების არარსებობის გამო, ისინი, 18 წლის მიღწევის შემდგომ, ფაქტობრივად, მომსახურების გარეშე რჩებიან. შესაბამისად, დარღვეულია სერვისის მიწოდების უწყვეტობა. ქვეპროგრამების არაეფექტურობას განაპირობებს ისიც, რომ სოციალური სამსახური არ არის აღჭურვილი საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსით.

## განათლების უფლება

### ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდა და განათლება

შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის დინამიკა, განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, ზოგადი და პროფესიული განათლების დონესთან შედარებით მზარდია (განსაკუთრებით დედაქალაქში), მაშინ როცა ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ბარიერებია სკოლამდელი განათლების ეტაპზე.<sup>45</sup>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განხორციელების მიზნებისთვის შემუშავებული აქვს „სკოლამდელი განათლების პროგრამა“, რომელიც „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს“<sup>46</sup> ეფუძნება, თუმცა მას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და არ იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სწავლებისა და განვითარების გეგმების მოდიფიცირების შესაძლებლობას, ბავშვზე ინდივიდუალური მიდგომის გზით.

44 „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა“ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015 წელი, გვ. 53 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3704.pdf>>

45 <http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpdd-education-cdi-geo-91.pdf> სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“, ალტერნატიული ანგარიში, 2016 წელი.

46 <[http://unicef.ge/uploads/ELDS\\_final.pdf](http://unicef.ge/uploads/ELDS_final.pdf)>

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“<sup>47</sup> საქართველოს კანონის დამტკიცება წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, **2016 წლის განმავლობაში** სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეებით<sup>48</sup> დასტურდება რომ სკოლამდელი აღზრდის დანესებულებებში დღესაც ბევრი პრობლემაა და ადრეული აღზრდისა და განათლების შესაძლებლობა არ არის სრულად მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.

კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში<sup>49</sup> მნიშვნელოვანია მუნიციპალურ დონეზე მოხდეს ერთიანი მიდგომის იმპლემენტაცია ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესის ხარისხიანად წარმართვისთვის. ამასთან, საჭიროა მუნიციპალიტეტებმა დროულად დანერგონ და უზრუნველყონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდება. ხოლო, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა ზემოაღნიშნული პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის შემუშავების მიზნით, მიიღონ ნორმატიული აქტი. გარდა ამისა, დანესებულებების ავტორიზაციისა და ზედამხედველობის პროცესში უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინება და კვალიფიციური სამსახურის განსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანაბრად ხელმისაწვდომი ინკლუზიური განათლება.

პრობლემებს ქმნის ის გარემოება, რომ არ არსებობს საბავშვო ბაღებში ჩართული ბავშვების ოფიციალურ მონაცემთა ბაზა, ასევე არ არის შემუშავებული დიფერენცირებული მონაცემები შესაძლებლობის შეზღუდვისა და ამ ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ აღმზრდელებს არ აქვთ საკმარისი მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში. ისინი არ ფლობენ შესაბამის უნარ-ჩვევებს და სპეციფიკურ ცოდნას, როგორც უმცირეს ბავშვების შესაძლებლობებთან, ისე სათანადო მიდგომებთან დაკავშირებით. საბავშვო ბაღების ასოციაციები დღესაც თავად იღებენ გადაწყვეტილებას რა სახის ტრენინგებს გაუკეთონ ორგანიზება, არ ხდება დასახელებული თემატიკის პრიორიტეტიზაცია.<sup>50</sup>

## **ე.მ.-ს შემთხვევა – სკოლამდელი ინკლუზიური განათლების უფლების დარღვევა**

2016 წელს სახალხო დამცველს განცხადებით<sup>51</sup> მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში მცხოვრებმა მოქალაქე ე.მ.-მ. განცხადება ეხებოდა მისი 4 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის, ე.მ.-ს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

47 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237>> მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 8 ივნისს.

48 N10401/16.

49 მუხლები 7, 8, 10, 14.

50 <<http://inclusion.ge/res/docs/2016072514094630189....pdf>>

51 N12467/16.



არსებული ინფორმაციით, მცირეწლოვანი 2015 წლის ივნისის თვეში ჩაირიცხა სოფელ შულავერის საბავშვო ბაგა-ბაღში გამოსაცდელი ვადით. ხოლო ბალის ადმინისტრაციამ ჩარიცხვიდან 5 დღის შემდეგ უარი განაცხადა ბავშვის რეგისტრაციაზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და რეკომენდაცია მისცა მშობელს, გადაეყვანა შვილი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში არსებულ, სოფელ ყიზილ-აჯლოს საბავშვო ბაგა-ბაღში, სადაც გახსნილია შესაბამისი ჯგუფი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის. ბალის პერსონალი კვალიფიციური კადრის არარსებობის გამო ვერ ახერხებდა ბავშვის ქცევის მართვას, რის გამოც იგი იყო აგრესიული, არ იღებდა საკვებს და სასმელს. შედეგად, ბალის ადმინისტრაციის მიერ გამოძახებულ იქნა მშობელი, რომელიც იძულებული გახდა ბავშვი გაეყვანა ბაღიდან. ბაგა-ბაღის გამგემ მშობელს მოსთხოვა ბავშვისთვის მკურნალობის კურსის ჩატარება და ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა.

ბაგა-ბაღების გაერთიანებიდან<sup>52</sup> მიღებულ კორესპონდენციაში<sup>53</sup> დანესებულების წარმომადგენელი აპელირებს ბავშვის რთულ და აგრესიულ ქცევაზე, რომელიც, მათი გადმოცემით, ნეგატიურად/დამთრგუნველად მოქმედებდა სხვა ბავშვების ფსიქიკაზე და საფრთხეს უქმნიდა პერსონალს. როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, კონვენციაზე დაფუძნებული მიდგომების საპირისპიროდ, დანესებულების ადმინისტრაციამ აირჩია მარტივი გამოსავალი და უარი თქვა შესაბამისი სერვისის მიწოდებაზე. ნეგატიურად უნდა შეფასდეს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი გამოსაცდელი ვადით ჩარიცხვის ფაქტი და ამასთან, ის გარემოებაც, რომ სოფელ შულავერის ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია არ ფლობს სპეციალურ უნარ-ჩვევებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ადეკვატური კომუნიკაციის დასამყარებლად და რთული ქცევის მართვის უზრუნველსაყოფად. მსგავსი პრაქტიკა უნდა ჩაითვალოს გაუმართლებლად და მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები შშმ ბავშვთა სოციუმში და საალმზრდელო/საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის.

## ზოგადი განათლება

აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლების დაფინანსება ზოგადი განათლების საფეხურზე ფრაგმენტულია, არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (შშმ ბავშვები) დაფინანსების ერთიანი მექანიზმი. არსებული მოდელი ვერ პასუხობს ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს.

გაეროს კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში<sup>54</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების საკითხების

52 საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ოფიციალურად მიმართა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი).

53 N13430/16-18.10.2016.

54 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>>

ინტეგრირება პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, მიუხედავად ცვლილებებისა, ნორმატიული მონესრიგება ინკლუზიურ სწავლებას კვლავ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უფლებამოსილებად (და არა ვალდებულებად) მიიჩნევს.<sup>55</sup> ამასთან, კანონი ზოგადი განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფასთან მიმართებით აქცენტს აკეთებს გეოგრაფიულ და ენობრივ ბარიერებზე, ხოლო შეზღუდულ შესაძლებლობას არ განიხილავს ანალოგიურ კონტექსტში<sup>56</sup>. საკანონმდებლო დონეზე კვლავ დაურეგულირებელია სპეციალური პედაგოგის სტატუსთან და ინტეგრირებულ კლასებთან დაკავშირებული საკითხები. არ არსებობს ინტეგრირებული კლასების კონცეფცია და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს „ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის“<sup>57</sup> პროგრამის დამტკიცება. თუმცა, მნიშვნელოვანია უმოკლეს ვადებში მოხდეს აღნიშნული მონიტორინგის ინსტრუმენტის ამოქმედება ზოგადი განათლების საფეხურზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ გააჩნია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სტატისტიკა და სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს, სამინისტრო ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ერთიანი მონაცემების გენერირებას.<sup>58</sup>

საქართველოში სპეციალიზებული განათლების სისტემა დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას. მოქმედი ინკლუზიური განათლების მოდელის მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო სივრცე და პრაქტიკა უშვებს სპეციალიზებული სკოლების არსებობის შესაძლებლობას. ამგვარი დაწესებულებების არსებობა არათავსებადია კონვენციის მიზნებთან, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს განათლების სისტემის გარდაქმნას ინკლუზიასა და ინტეგრაციაზე აქცენტირების გზით. ამასთან, განსხვავებით დედაქალაქისგან, სპეციალიზებული სკოლები საქართველოს მხოლოდ რამდენიმე რეგიონში ფუნქციონირებს, რომლებზე წვდომაც არაადაპტირებული ფიზიკური გარემოს და ტრანსპორტირების მოუწესრიგებლობის გამო პრობლემურია რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. 2015 წელს 3 უსინათლო მოსწავლეს სპეციალური სკოლა-პანსიონის ნაცვლად, შესაძლებლობა მიეცა სწავლა გაეგრძელებინა საჯარო სკოლაში<sup>59</sup>. თუმცა ეს არის ერთეული შემთხვევა და ამგვარ მიდგომას არ აქვს სისტემური ხასიათი.

კვლავ გამონვევად რჩება ინკლუზიური განათლების პროცესში სწავლების ხარისხი და უწყვეტობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში. პრობლემას წარმოადგენს სპეციალური პედაგოგების რაოდენობა და კვალიფიკაცია, არაადაპტირებული ფიზიკური გარემო, ტრანს-

55 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 33, მე-2 პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>>

56 იქვე, მუხლი 7.

57 განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის N31 ბრძანება.

58 კორესპონდენცია MES 4 16 0050628; 27.05.2016.

59 კორესპონდენცია MES 4 16 0050628; 27.05.2016.

პორტირების მოუწესრიგებლობა, სასწავლო დაწესებულებების, საკლასო ინვენტარის და სასწავლო მასალების მისაწვდომობა.<sup>60</sup>

ინკლუზიური განათლების რეალიზების მიმართულებით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რეგიონებში. მაღალმთიანი სოფლების სკოლების 505 სკოლიდან, მხოლოდ 171 სკოლაში ხორციელდება ინკლუზიური სწავლება.<sup>61</sup> თუმცა, აღნიშნულ შემთხვევებშიც, ინკლუზიურ განათლებას არ აქვს კომპლექსური, ყოვლისმომცველი ხასიათი. უმთავრესი პრობლემა არის ის, რომ, როგორც წესი, ინკლუზიური განათლებისთვის გამოყოფილი თანხის გაცემა, სკოლის მიერ, ძირითადად, ხდება სპეციალური მასწავლებლის ან ფსიქოლოგის ხელფასებზე. პარალელურად თანხების განკარგვა არ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების შესაბამისად - იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები აქვს კონკრეტულ მოსწავლეს (ეს შეიძლება იყოს საგანმანათლებლო რესურსი და ადაპტირებული ტექნოლოგიები, სკოლის ფიზიკური ადაპტირება, სკოლის სხვა დამხმარე სპეციალისტები - სანიტარი, მეტყველების თერაპევტი, სურდო პედაგოგი, ასისტენტი, ტრანსპორტირება და ა.შ.).

ინკლუზიური განათლების პროცესს აბრკოლებს არაადაპტირებული საგზაო, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, დაწესებულებების ფიზიკური გარემო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით<sup>62</sup> 777 საჯარო სკოლას აქვს პანდუსი ან მარტივი ადაპტაცია. დასახელებული რაოდენობა ნაკლებია საქართველოში არსებული სკოლების ერთ მესამედზე. არსებული ადაპტაციის ხარისხი კი მიზერულია, რადგან მხოლოდ პანდუსი ვერ უზრუნველყოფს კომპლექსურად გააზრებულ მისაწვდომობას. უნდა აღინიშნოს, რომ პილოტირებას გადის და არ არის სრულყოფილად დანერგული სმენის არმქონე და უსინათლო მოსწავლეებისთვის ალტერნატიული სასწავლო გეგმა. საგანმანათლებლო რესურსებისა და ადაპტირებული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის კუთხით გარკვეული პროგრესი, ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებთან შედარებით, აქვთ სპეციალიზებულ სკოლებს და პროფესიულ სასწავლებლებს.<sup>63</sup> 2016 წლის მარტის მონაცემებით საჯარო სკოლებში დასაქმებულია 1372 სპეციალური მასწავლებელი, რაც ვერ უზრუნველყოფს არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებას. საჯარო სკოლებში სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების არასაკმარის რაოდენობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი 2016 წელს, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა საქმეს,<sup>64</sup> რომელიც ეხებოდა ქ. თბილისის 21-ე, 24-ე, 166-ე, 175-ე და 181-ე საჯარო სკოლებში არსებულ ვითარებას სწორედ ამ კუთხით. საქმის მასალებით<sup>65</sup> ცნობილი გახდა,

60 „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის ანგარიში, 2015 წელი, გვ. 754 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1934.pdf>>

61 <<http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpd-education-cdi-geo-91.pdf>> სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“ ალტერნატიული ანგარიში, 2016 წელი.

62 2016 წლის 27 მაისის კორექსონდენცია MES 4 16 00570628.

63 <<http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpd-education-cdi-geo-91.pdf>> სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“ ალტერნატიული ანგარიში, 2016 წელი.

64 N12707/16.

65 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს კორექსონდენცია N13457/16-18.10.2016

რომ კადრების რაოდენობა გარკვეულ სკოლებში არ იყო გონივრულად შერჩეული და არ მოდიოდა შესაბამისობაში რეალურად არსებულ საჭიროებებთან. კერძოდ, 21-ე საჯარო სკოლაში გამოიკვეთა სპეც. პედაგოგის დამატების საჭიროება, 166-ე საჯარო სკოლაში კი საშტატო განრიგით კიდევ ერთი სპეც. პედაგოგის ან ფსიქოლოგის მომსახურების გათვალისწინების მიზანშეწონილობა, მაშინ როდესაც, განსხვავებით ზემოთ დასახელებული სკოლებისა, 175-ე საჯარო სკოლაში 20 სსმ მოსწავლეზე 3 სპეციალური პედაგოგი იყო გამოყოფილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური მასწავლებლები სათანადოდ არ ფლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. აღნიშნულს, გარკვეულწილად, განაპირობებს ის, რომ არ ხორციელდება მონიტორინგი მათი გადამზადების ხარისხზე. ამასთან, დაბალია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პროცესში სხვა პედაგოგების ჩართულობის ხარისხი. ანალოგიური ვითარებაა სპეციალიზებული პროფილის სკოლებშიც.

გარდა აღნიშნულისა, სპეციალური მასწავლებლების არაადეკვატური ანაზღაურება, ხშირ შემთხვევებში იწვევს არაპროფესიონალი კადრების მოზიდვას, შემდგომში კი ხშირ ცვლას, რაც ნეგატიურად აისახება მათ მოტივაციასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. არ არსებობს წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც სპეც. პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემდა, ისე როგორც ეს ხდება სხვა სასწავლო დისციპლინების პედაგოგებთან დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე პრობლემა, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მიმართ გამოიკვეთა.<sup>66</sup> პრობლემურია მათი რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროცესში სისტემატური ჩართულობის საკითხი – გუნდის წევრებს ვალდებულება აქვთ, უზრუნველყონ ბავშვის შეფასება, გადაფასება, მასწავლებლებისთვის კონსულტაციის განწევა და მონიტორინგი. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ შეზღუდული რაოდენობის გამო, ისინი, ძირითადად, ბავშვის პირველადი შეფასებით შემოიფარგლებიან. კონსულტაციას კი უზრუნველყოფენ მხოლოდ მაშინ, როცა სკოლა სთხოვს დაუყოვნებლივ ჩარევას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში.

ამასთან, სათანადოდ არ/ვერ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მეორადი შეფასება/გადაფასება, შემთხვევის მართვა, პროგრესის გაზომვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და ბავშვის სწავლების პროცესზე ბოლომდე თვალყურის მიდევნება. ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს მულტიდისციპლინურ გუნდში ვიწრო პროფილის სპეციალისტების ნაკლებობა. დღის წესრიგში დგას სათანადოდ მომზადებული ადამიანური რესურსისა და ისეთი სპეციალისტების დეფიციტი როგორებიცაა: ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, ბავშვის ფსიქიატრი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განსხვავებული საჭიროებებისადმი არათანმიმდევრული მიდგომა, ასევე ინკლუზიური განათლების მომ-

66 „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“ 2016 წელი. <<http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpdc-education-cdi-geo-91.pdf>>

წესრიგებელი არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, გარკვეულწილად, ხელს უწყობს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ. საჭიროა საკანონმდებლო დონეზე დეტალურად განისაზღვროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციები, რომლებიც აამაღლებს მის ეფექტურობას სკოლებში, ინკლუზიური განათლების ორგანიზებისა და მასზე ზედამხედველობის თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია სკოლასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს შორის ჩამოყალიბდეს პოზიტიური ურთიერთთანამშრომლობითი დამოკიდებულება.

კონვენციის მიდგომების პრაქტიკაში დანერგვას აფერხებს სხვა დამაბრკოლებელი გარემოებებიც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებს არ აქვთ საკმარისი მხარდაჭერა, ხშირ შემთხვევებში ისინი არ არიან ინფორმირებული მათი შვილების საჭიროებების შესახებ. ამასთან, ძლიერია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების ზეგავლენა<sup>67</sup>. ყოველივე აღნიშნული კი იმის ფონზე, რომ ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა ხდება კანონიერ წარმომადგენლების ნება-სურვილის შესაბამისად, ზრდის ბავშვთა განათლების სისტემის მიღმა დარჩენის რისკებს. ზოგადი განათლების სისტემაში შუშ ბავშვთა სრულყოფილად ჩართვას აბრკოლებს საზოგადოებრივი მზაობის არარსებობაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოების სრულფასოვან წევრად აღქმისთვის, სოციალური გაუცხოება კი იწვევს მათდამი სტიგმატიზებულ დამოკიდებულებას.

2015 წელს „განათლების მიღების შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის“ პროგრამის ფარგლებში დაიწყო საპილოტე სერვისის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს კრიზისულ და ტრანზიტულ ცენტრებში მყოფი მოზარდებისთვის განათლების შეთავაზებას. თუმცა, არიან ბავშვები, რომლებსაც სახელმწიფოს სერვისები ვერ ფარავს და უხილავია მათი კონტიგენტი. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ამჟამინდელი პოლიტიკა არაპროდუქტიულია განათლების სისტემის მიღმა დარჩენილ ბავშვებთან მიმართებით და ვერ უზრუნველყოფს მათ სისტემაში ინტეგრირებას. ამასთან, ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, იმასთან დაკავშირებით თუ რამდენი ბავშვია (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ფორმალური განათლების მიღმა.

აუცილებელია დაინერგოს ეფექტური რეფერალური მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ბავშვების პროაქტიულ ჩართვას სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სერვისებში და უზრუნველყოფს, როგორც მათ მოძიებას, ისე ტრანზიციის პროცესის ეფექტურად წარმართვას.

## პროფესიული განათლება

„პროფესიული განათლების შესახებ“<sup>68</sup> საქართველოს კანონი, განსხვავებით, „ზოგადი განათლების შესახებ“<sup>69</sup> საქართველოს კანონისგან, არ არის ორიენ-

67 იხ. წინამდებარე ანგარიშის თავი თანასწორობის უფლების ნაწილში.

68 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608>>

69 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>>

ტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით ინ- დივიდუალური მიდგომის დანერგვაზე. ის არ ცნობს ასეთ სამიზნე ჯგუფს და არ ითვალისწინებს მათ მიმართ სპეციფიკური მეთოდების გამოყენების საჭი- როებას. კანონის 31-ე მუხლი, რომელიც ეხება სტუდენტებთან მოპყრობის პროცესში თანასწორობის პრინციპის დაცვას, არ ხასიათდება კომპლექსური მიდგომით და ერთ-ერთ გარემოებად მხოლოდ „ფიზიკურ შესაძლებლობას“ განსაზღვრავს.<sup>70</sup>

პროფესიული ინკლუზიურ განათლების სისტემაში 2013 წლიდან დაიწყო სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. თუმცა, ამ ეტაპზე სამინისტრო არ ფლობს დიფერენცირებულ მონაცემებს და რაოდენობრივი მითითება კეთდება, ზოგადად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე.<sup>71</sup>

პროფესიული განათლების საფეხურზეც გამოწვევას წარმოადგენს სივრ- ცის ადაპტირება. 21 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლიდან, 2015 წელს მხოლოდ 5 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ადაპტაცია დაიწყო „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპის დაცვით.<sup>72</sup> მიუხედა- ვად იმისა, რომ ამ ეტაპზე ყველა ავტორიზებულ პროფესიულ კოლეჯში არსე- ბობს პანდუსი (რაც ავტორიზაციის მოთხოვნაში შედის), სხვადასხვა საჭიროე- ბის მქონე პირებისთვის გარემოს სრული ადაპტირება (სასწავლო ოთახები, სველი წერტილები, სახელოსნოები და სხვა), შენობაში გადაადგილება და სას- წავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემურია.<sup>73</sup>

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ინკლუზიური განათლების საკონსულტაციო ჯგუფის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფე- სიული განათლების ინიციატივების მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდა- ციების გაცემას. გუნდი იკრიბება 6 თვეში ერთხელ.

## ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ

საანგარიშო პერიოდში არსებული საქმეების<sup>74</sup> ანალიზი ცხადყოფს, რომ მთა- ვარ გამოწვევას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ძალადობის- გან დაცვის კუთხით, წარმოადგენს მათზე განხორციელებული ძალადობის იდენტიფიცირების საკითხი. ამასთან, პრობლემურია: ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაცვა, რეაბილიტაციის ღონისძიებების პრაქტიკაში

70 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608>>მუხლი 31, 1-ლი ნაწილი, ბ პუნქტი.

71 კორესპონდენცია MES 4 16 00570628.

72 თბილისი: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერანი“, „სპექტრი.“ ქუთაისი: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“. ახალციხე: სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“. გურჯაანი: სსიპ პროფესიული კოლეჯი „აისი“.

73 „მონყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“ 2015 – <<http://www.inclusion.ge/res/docs/2015071614133366745.pdf>>

74 N9597/16; N8817/16; N13888/16.

დანერგვა, სოციალური მომსახურების სფეროში მომუშავე პროფესიონალის, ფსიქოლოგების ნაკლებობა. აგრეთვე შესაბამის უწყებებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა.

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე კვლავ არ არსებობს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკე რეგულაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან (მათ შორის ბავშვებთან) მიმართებით და ის ინტეგრირებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგად პოლიტიკასთან, რომელსაც არეგულირებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.<sup>75</sup> განსაკუთრებით მონყვლადი ჯგუფის ინტერესებისა და სპეციფიური მიდგომის გათვალისწინება არ ხდება არც უწყებების შიდა სახელმძღვანელო ინსტრუქციებსა და მეთოდოლოგიებში.

კვლავ პრობლემურია ოჯახში ძალადობის შემთხვევათა აღრიცხვა და გამოწვევად რჩება მონაცემების შეგროვება. არ არსებობს დიფერენცირებული სტატისტიკა შშმ ბავშვთა მიმართ ოჯახში განხორციელებულ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ თუ სხვა სახის ძალადობასთან დაკავშირებით. უნდა აღნიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის არსებული მონაცემები ეფუძნება გაცემული შემთხვევები ორდერების რაოდენობას, რაც ვერ ასახავს პრობლემის რეალურ მასშტაბს. აღნიშნული, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოწვეულია საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით, შურისძიებისა და სტიგმატიზაციის შიშით, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ნაკლებობით და ასევე ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში არსებული მექანიზმებისა და სერვისების გაუმართაობით. განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ის გარემოება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ ჩადენილი ძალადობა ხშირად „უხილავია“ და სათანადო რეაგირების გარეშე რჩება, რასაც, გარკვეულწილად, განაპირობებს საზოგადოებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა დაბალი ცნობიერება, სტერეოტიპული მიდგომა.

კვლავ გამოწვევად რჩება დამცავი ღონისძიებების აღსრულების ეფექტური ზედამხედველობა. საჭიროა დაინერგოს მონიტორინგის მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს შესაბამის სტრუქტურებს მეთვალყურეობა გაუწიონ ოჯახებს, სადაც შშმ ბავშვებზე ძალადობის ფაქტი გამოვლინდა და ამასთან, შეიქმნას საინფორმაციო ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდის ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელ, უფლებამოსილ ორგანოებს შორის კვლავ პრობლემას წარმოადგენს კოორდინაცია და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. საქმეთა შესწავლისას ხშირად ვლინდება ხარვეზები, როგორც სამართალდამცავი უწყების, ისე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასებისას. რიგ შემთხვევებში დასახელებული უწყებების მიერ სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია წინააღმდეგობრივია. ამასთან, მიუხედავად სოციალური მუშაკის მიერ ძალადობრივი ინციდენტების დადასტურებისა, სამართლ-

75 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>>

დამცავებს უჭირთ ძალადობის იდენტიფიცირება და არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას. საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებში. მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ სამართალდამცავები არ ფლობენ შშმ პირებთან/ბავშვებთან ურთიერთობის სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს.

პრაქტიკულ ასპექტში პრობლემურია შშმ ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციის საკითხი, ბენეფიციართა რთული ქცევის მართვასთან და სიტუაციის სტაბილიზებასთან მიმართებით.

## მ.მ.-ს შემთხვევა – შშმ ბავშვზე სავარაუდო ძალადობის ფაქტი

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით სწავლობდა საქმეს,<sup>76</sup> რომელიც ეხებოდა კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის ბენეფიციარის, მ.მ.-ს სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტს. კერძოდ, 2016 წლის 26 ივლისს, მ.მ.-მ ჩაამსხვრია შუშა, რის გამოც უფროსმა აღმზრდელმა მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა (აუნია ყური). მომხდარის გამო, ბენეფიციარს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების ხელმძღვანელმაც და დასჯის მიზნით იგი არ წაიყვანეს სასივრთოდ სხვა ბენეფიციარებთან ერთად.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან მიღებულ წერილში<sup>77</sup> ცალსახად არის უარყოფილი შესაძლო ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით არ განხორციელებულა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ინფორმირება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვანი ბენეფიციარის დასჯა განხორციელდა მისი ფსიქო-სომატური მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარე, თუმცა არ არის დასაბუთებული რა სახის აღმზრდელობითი ზემოქმედება შეიძლება ჰქონოდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, არ არის მოცემული ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასების ამსახველი ინფორმაცია. ცალსახაა, რომ ინციდენტი გამოიწვია კონფლიქტური სიტუაციის ესკალაციამ მ.მ.–სა და სხვა ბენეფიციარ მ.კ.–ს შორის. ხოლო, პერსონალმა ვერ შეძლო კონფლიქტური სიტუაციის, ბენეფიციართა რთული ქცევის მართვა და სიტუაციის დეესკალაცია. აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა უსაფრთხოებას და მათ დაცვას ძალადობისა თუ შეურაცხყოფისგან, მაშინ, როდესაც ამ თვალსაზრისით დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული სტანდარტის<sup>78</sup> შესაბამისად, შშმ პირთა/ბავშვთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ყველა ბენეფიციარი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ძალადობისგან და იძულებისაგან. მომსახურების მიმწოდ-

76 N9597/16.

77 №07/1018–11.08.2016.

78 „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის N01–54/6 ბრძანება, დანართი N1, მუხლი 10 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391345>>



ბელი უნდა იცნობდეს და ხელმძღვანელობდეს მოქმედი კანონმდებლობით.<sup>79</sup> კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის დებულების თანახმად, ფილიალმა უნდა უზრუნველყოს დანესებულების ბენეფიციართათვის ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა და ხელი შეუწყოს შესაბამისი მომსახურების ხარისხიან განხორციელებას, ხოლო ფილიალის ბენეფიციარს უფლება აქვს დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან. დანესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური დახმარების მიზნით.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

სახელმწიფო პოლიტიკა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში არ არის სენსიტიური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ინტერესებისა და საჭიროებების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციაზე დაფუძნებული მიდგომით ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ განსხვავებული საჭიროებების მქონე ჯგუფს, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული პოლიტიკის დოკუმენტები, ისევე როგორც სახელმწიფო პროგრამები, მათ არ მოიაზრებს დამოუკიდებელ სამიზნე ჯგუფად. სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და ბიუჯეტირებისას არ ხდება მათთვის რელევანტური საკითხების გათვალისწინება. აღნიშნული ეხება ჯანდაცვის, სოციალური რეაბილიტაციის, განათლების, დასაქმებისა და სხვა პროგრამებს.

ცნობილია, რომ ქვეყანაში არსებულმა სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო სისტემამ მოიცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები კვლავ ვერ სარგებლობენ მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობის საკითხი. სათანადოდ არ ხდება ჯანმრთელობისთვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ბენეფიციართა უმეტესობა ფინანსურად დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფო სოციალურ პაკეტზე, რაც არ იძლევა ჯანმრთელობისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენის შესაძლებლობას.

ხარვეზებით ხორციელდება მათი მომსახურება სახელმწიფო ზრუნვის დანესებულებებში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2014 წლის 23 ივლისს დამტკიცებული „სადღეღამისო სპეციალიზებულ დანესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტები“<sup>80</sup> არ ითვალისწინებს დასახელებული სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს.

79 მათ შორის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

80 სადღეღამისო სპეციალიზებულ დანესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის ბრძანება N01-54/6. < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391345> > [ბოლოს ნანახია 16.03.2017].

ერთ-ერთი გამონწვევაა, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ არსებული ძალადობის გამოვლენა. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო ძალადობის მსხვერპლს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა.

არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ მიერ განხორციელებული კვლევის „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში – ძირითადი ტენდენციები“<sup>81</sup> შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალების მიმართ ძალადობას ხშირად განაპირობებს კანონმდებლობაში განწერილი ზოგადი რეგულაციები, რომლებიც არ ითვალისწინებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საკანონმდებლო დონეზე არსებობს აბსოლუტურად ზოგადი ხედვა, ზოგადი რეგულაციები, რომლებიც სრულიად არასენსიტიურია, როგორც გენდერული, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსპექტივიდან.<sup>82</sup>

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე შშმ ქალთა განსაკუთრებულ მონყვლადობას ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატში ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციის მიმართულებით შემოსული განცხადებები, რომლებიც, ძირითადად, ეხება ქალთა ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დარღვევებს.

მომმართველთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი პოლიციის ძალით ან/და მუქარით და დაშინებით წაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.<sup>83</sup>

## 2. ა.-ს საქმე

სახალხო დამცველს მიმართა შშმ ქალმა ე.ა.-მ (საქმე N11467), რომლის ინფორმაციით მას მოტყუებით მოანერინეს ხელი ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიღებაზე და სტაციონარის ადმინისტრაცია არ აძლევდა დაწესებულების დატოვების შესაძლებლობას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგად ცნობილი გახდა,<sup>84</sup> რომ ე.ა.-ს სტაციონარში განთავსება მოხდა სასწრაფო დახმარებისა და სპატრულო პოლიციის თანხლებით. დაწესებულების ინფორმაციით პაციენტი იღებდა ნებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებას.

81 „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ძირითადი ტენდენციები“, ნანა გოჩიაშვილი, თბილისი, 2014.

<<http://phr.ge/assets/uploads/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/3.pdf>> [ბოლოს ნანახია 17.03.2017].

82 „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ძირითადი ტენდენციები“, კვლევის ავტორი ნანა გოჩიაშვილი, 2015 წელი (აიპ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის). გვ.12.

83 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე N8977; საქმე N11746/16; საქმე N12771/16; საქმე N11467/16; N6827/16.

84 შპს აკადემიკოს ო. ლუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N2552/3 კორესპონდენცია.

ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით სხვა საქმეებში.<sup>85</sup> პაციენტის სტაციონარში მიყვანის დროს მას ძალით მოაწვინეს ხელი დოკუმენტებზე. მოცემულ შემთხვევაშიც დაწესებულება აცხადებს, რომ პირი მიიყვანეს კატასტროფის სამედიცინო ცენტრის ბრიგადის და სამხარეო პოლიციის თანხლებით.<sup>86</sup>

სტაციონირების დროს ინფორმირებული თანხმობის პრობლემაზე საუბარია ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიშში, რომლის მიხედვით პირის ღირსებასა და პირად ხელშეუხებლობაზე დაფუძნებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში, ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის წინაპირობას სწორედ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა უნდა წარმოადგენდეს. მკურნალობაზე თანხმობას შეიძლება ეწოდოს თავისუფალი და ინფორმირებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფუძნებულია პაციენტის მდგომარეობისა და მისთვის შეთავაზებული მკურნალობის შესახებ სრულ, ზუსტ და დეტალურ ინფორმაციაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვების საფუძველზე დგინდება, რომ უკიდურესად დაბალია როგორც ნებაყოფლობითი, ისე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღებ პირთა ინფორმირებულობის დონე, მათი მკურნალობის ხასიათთან (ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი), ხანგრძლივობასთან, მათ უფლებებთან, მისაღებ მედიკამენტებთან დაკავშირებით.<sup>87</sup> რიგ შემთხვევებში,<sup>88</sup> თუ რა სახის (ნებაყოფლობითი/არანებაყოფლობითი) ფსიქიატრიული დახმარება გაენიათ, ამის შესახებ ინფორმაციას მოქალაქეები ფსიქიატრიული დაწესებულების დატოვების შემდგომ, სახალხო დამცველის აპარატის საშუალებით იღებენ.

ცალკე ასპექტად უნდა გამოიყოს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ სტაციონარში განხორციელებული სავარაუდო ძალადობის ფაქტები და ამ ფაქტების გამოძიების არაეფექტურობა.

## მ.შ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე (N2296/16) ეხება ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალის მხრიდან, 2016 წლის თებერვალში პაციენტზე განხორციელებულ სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტს, რაზეც მ.შ-მ 2016 წლის 15 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მოქალაქის განცხადება ქვემდებარეობით გადაიგზავნა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უზნის ინსპექტორთა სამმართველოს მე-3 განყოფილებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდებოდა გამოძიების პროცესის გაჭიანურება. საბოლოოდ კი არ დადასტურდა მ. შ. – ს ცემის ფაქტი და 2016 წლის 23 დეკემბერს, საქმეში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებუ-

85 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე N6827/16; N8977/16.

86 შპს თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კორესპონდენცია N154.

87 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე N12771/16; N9373/16; N11567/16; N6827/16.

88 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე N9373; N6827/16.

ლი ქმედების არარსებობის გამო, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა.<sup>89</sup>

## ინსტიტუციაში მყოფ შხმ ქალთა მიმართ ქალაქობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო ზრუნვის დანესებულებებში მყოფი ქალების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, ერთ-ერთი გამოწვევაა ამ პირთა ფსიქიატრიულ დანესებულებებში სტაციონირების პრობლემა.

2016 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის პროცესში დადასტურდა, რომ პანსიონატებში ბენეფიციარებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციისაგან გარიდების დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს მათი გადაყვანა ფსიქიატრიულ დანესებულებებში.<sup>90</sup>

### მ.ხ.-ს საქმე<sup>91</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პანსიონატის ბენეფიციარი, მ. ხ. 2016 წლის 25 სექტემბერს პოლიციის ძალით, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გადაიყვანეს შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.

საქმის შესწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული პირი დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის ექიმ-ფსიქიატრის დასკვნის საფუძველზე იქნა მოთავსებული სტაციონარში, სადაც იღებდა ნებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებას. სამედიცინო დანესებულება აღნიშნავდა, რომ პაციენტის დაბრუნება დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში მოხდებოდა უახლოეს პერიოდში, მას შემდეგ, რაც მისი აგრესიული ქცევის გამომწვევი, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაყვანა მოხდება სხვა დანესებულებაში.<sup>92</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დამატებითი რეაგირების შემდეგ, დანესებულებამ უარყო მსგავსი მიზნით პაციენტის დანესებულებაში დაყოვნების ფაქტი და აღნიშნა, რომ კლინიკაში ბენეფიციარ მ. ხ-ს დაყოვნება იმაზე

89 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უზნის ინსპექტორების სამმართველოს წერილი MIA 8 17 00325203 (09.02.2017).

90 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დანესებულებებში“ იხ. <<http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/shezguduli-shesadzleblbis-mqone-pirta-uflebrivi-mdgomareoba-saxelmwifo-zrunvis-dawesebulebebshi1.page>> [ბოლოს ნანახია 16.03.2017].

91 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე N12771/16.

92 შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კორესპონდენცია N281.

მეტი ხნით, ვიდრე ეს საჭირო იყო მისი გამოკვლევისა და მკურნალობისათვის, არ განხორციელებულა.<sup>93</sup>

აღნიშნული ფაქტი ასევე უარყო სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა. მათი ინფორმაციით<sup>94</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატების ადმინისტრაცია კონფლიქტური სიტუაციის მართვას ახორციელებს ფონდის დირექტორის 2014 წლის 3 დეკემბრის N07-201/ო ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) შინაგანანდის“ შესაბამისად. ამასთან, ფონდის ფილიალების ხელმძღვანელთა მხრიდან, დანესებულების ბენეფიციართა შორის არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით მსგავსი პრაქტიკის გამოყენების ფაქტი ამ დრომდე არ დასტურდება.

## **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის**

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით ხელშეახლები ცვლილებები არ განხორციელებულა. ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ნაწილი არ აკმაყოფილებს ამ პირთა განსხვავებულ საჭიროებებს. გამონაკლისად მათი ჩართვა სკრინინგ-პროგრამებში, ასევე, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის კუთხით სერვისების შეთავაზება.

შპმ პირთათვის ჯანდაცვის სისტემაზე სრულფასოვან წვდომას მნიშვნელოვნად აბრკოლებს სფეროს ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა. სმენისა და მეტყველების, ასევე მხედველობის არმქონე და მცირემხედველი პირებისთვის სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაცია და საჭირო ინფორმაციის მიღება.

სისტემური ხასიათი არა აქვს ექიმების და სხვა სპეციალისტების სწავლებას შპმ პირთა უფლებებზე. ამ უკანასკნელს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათთან სწორი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისა და სრულყოფილი სერვისის მიწოდების პროცესში.

93 შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის კორექსპონდენცია N290.

94 სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი N07/1378 (10.11.2016).

## ფსიქიკური ჯანმრთელობა და არსებული პრობლემები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ჯანმრთელობის უფლების რეალიზების პროცესში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობა.

2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით,<sup>95</sup> ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსების მეთოდოლოგიაში განხორციელებულ ცვლილებებს მწვავე გამოხმაურება მოჰყვა ამ სფეროში მომუშავე პირებისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან. გავრცელებული ინფორმაციით, დაფინანსების არსებული მოდელის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელთა ნაწილმა, კერძოდ მრავალპროფილურმა სამედიცინო დაწესებულებებმა, უარი განაცხადეს სახელმწიფო პროგრამაში ჩართვასა და შესაბამისი მომსახურების განწვევაზე, რაც, თავის მხრივ, აუარესებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მდგომარეობას.

დასახელებულმა ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეაფერხოს სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელა ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015–2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. საკითხის შესწავლის პროცესში გაირკვა, რომ სამოქმედო დოკუმენტით, მიმდინარე პერიოდისთვის განსაზღვრული ღონისძიებები დასრულებული არ არის და მათი ნაწილის იმპლემენტაციის სტრატეგიაზე მუშაობა ახალი დაწყებულია.<sup>96</sup>

2016 წლისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის ჰოსპიტალური სექტორის დაფინანსების წილი (72%) კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებას (23%). შემამფოთებლად დაბალი რჩება თემზე დაფუძნებული სერვისები (1.5%).

2015–2016 წლებში, ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურებას, შეადგენდა წელიწადში საშუალოდ 40 პირს.<sup>97</sup> აღნიშნული მაჩვენებელი, მისი გეოგრაფიული დაფარვისა და ბიუჯეტის სიმცირის გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება საკმარისად სათე-

95 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილება 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3530020>>

96 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/2518 (16.01.2017), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 9 17 00033835 (17.01.2017), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილი MOC 3 17 00060376.

97 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/2518 (16.01.2017), გვ.9.

მო მომსახურების დეფიციტის აღმოფხვრისთვის.<sup>98</sup> ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ დასახელებული სერვისის მიწოდება ხდება მხოლოდ თბილისის მასშტაბით.

არსებული ინფორმაციით, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემაში კვლავ მაღალია რეჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი, ასევე მაღალია 6 თვეზე მეტი დროით ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.<sup>99</sup> პრობლემას წარმოადგენს სერვისის უწყვეტობის მიზნით სტაციონარის შემდგომი ამბულატორიული მომსახურება.<sup>100</sup>

2016 წელს არ მომხდარა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების რაოდენობის ზრდა. არ არის შემუშავებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დენისტიტუციონალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მისი შემუშავება იგეგმება 2017 წელს.<sup>101</sup>

საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო მწვავედ განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას. რაც აბსოლუტურ ციფრებში, ქვეყნის მასშტაბით, გამოიხატება სულ მცირე 250 ფსიქიატრის დეფიციტით. 2016 წელს სამედიცინო პერსონალის რაოდენობის ზრდის კონკრეტული მაჩვენებელი აღრიცხული არ არის.

გამონწვევად რჩება ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ამბულატორიულ დონეზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პაციენტების მართვის საკითხებში, 2016 წელს გადამზადდა პირველადი ჯანდაცვის 120 ექიმი. სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებს შორისაა, ევროსაბჭოს დაფინანსებით, ქვეყნის მასშტაბით ტრენინგების 6 ციკლის ჩატარება ფსიქიკური ჯანმრთელობის დანესებულებების ექიმების, ექთნების და სოციალური მუშაკებისათვის, ადამიანის უფლებების, ეთიკისა და პაციენტის მოვლის საკითხებში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიმართულებით 2016 წელს შესრულებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ ჩაითვლება ეფექტურად ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

პრობლემად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლის და სტიგმის შემცირების მიზნით ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების, მათი ოჯახების და ორგანიზაციების გაძლიერება, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების ცოდნის ამაღლება.

98 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილება 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, დანართი 12, მუხ. 8 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3530020>>

99 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/5664 (31.01.2017).

100 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/2518 (16.01.2017), გვ.10.

101 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/2518 (16.01.2017), გვ.13.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე დასახელებულია: სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შპს „აკად. ბ. ნანიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ 95%-იანი წილის შპს „ბ&ნ“-სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების საკითხი, ასევე საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სავაჭრო-ეკონომიკური მრჩევლის ოფისთან გაფორმებული სხდომის ოქმი, საქართველოში ფსიქიატრიული საავადმყოფოების მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის შესწავლის თაობაზე. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ქალაქებში, თელავსა და სენაკში ფსიქიატრიული საავადმყოფოების მშენებლობას და აღჭურვას.<sup>102</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ ფსიქიატრიული დაწესებულებების რეაბილიტაციის მიზნით გატარებული ღონისძიებების სიმცირის გარდა, ზემოთ დასახელებული შემთხვევები დაკავშირებულია დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების გაძლიერებასთან, რაც არ არის თანხვედრაში სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულ დეინსტიტუციონალიზაციის პროცესთან.

2016 წელს არ შემუშავებულა ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა სუიციდის პრევენციის პროგრამა. არსებული ინფორმაციით, სტრატეგიაზე მუშაობა იგეგმება 2017 წელს. ევროსაბჭოს ტექნიკური დახმარებით შეიქმნა ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმის პროექტი, თუმცა პროცესი დასრულებული არ არის. სახალხო დამცველი თვლის, რომ აღნიშნული მექანიზმის დროულ დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების სათანადოდ დაცვისთვის.

სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარება. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციით,<sup>103</sup> სისტემაში ხელმისაწვდომია გადაუდებელი მდგომარეობის მართვა/კრიზისული ინტერვენცია, სუიციდის რისკის მართვა, მსუბუქი ფსიქიკური და ქცევით აშლილობების მკურნალობა, სტაციონალური მკურნალობა, ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობის გვერდითი ეფექტების მართვა. 2016 წელს უწყების მიერ დამტკიცდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა.<sup>104</sup>

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს წარმატებისთვის მნიშვნელოვანია უწყვეტად გაგრძელდეს სამოქმედო გეგმით დადგენილი ღონისძიებები, რაც შესაძლებელს გახდეს შპმ ადამიანების მიერ ამ უფლების სათანადო რეალიზებას.

102 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/2518 (16.01.2017), გვ.2.

103 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილი MOC 3 17 00060376 (25.01.2017).

104 მოცემულ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცლად იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ნაწილში.



## რეკომენდაციები

### საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება
- განახორციელოს ეროვნული კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია კონვენციის პრინციპებსა და ხედვასთან

### აღვილოზრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- დროულად იქნას უზრუნველყოფილი რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ ამოქმედება და ამ პროცესებში შშმ პირების ანდა მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა
- მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირების პროცესში გათვალისწინებულ იქნას შშმ ბავშვთა საჭიროებები; გაძლიერდეს არსებული სერვისების მოცულობა და დაფარვა

### საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის და კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა
- დანესდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თაობაზე შესაბამისი სტატისტიკის წარმოების ვალდებულება
- მოხდეს სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტით საკმარისი სახსრების გათვალისწინება შშმ ბავშვთა საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისა და არსებული პროგრამების ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით
- განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ორიენტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების უფლებების დაცვის და გაძლიერების საჭიროებებზე
- უზრუნველყოს პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების დროული და ეფექტური იმპლემენტაცია

## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შემუშავდეს და დაინერგოს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელი
- განხორციელდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის გადახედვა და მისი ფორმირება იმგვარი სახით, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი საჭიროებების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახების სახელმწიფო შემწეობით სარგებლობას
- გაძლიერდეს ადრეულ ასაკში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პრობლემების იდენტიფიცირება, დროული ინტერვენცია და შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ჩართვა
- უზრუნველყოფილ იქნას სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოცულობის ზრდა და მათი მისანვდომობა შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის, ყურადღება გამახვილდეს რეგიონებში გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდაზე
- ხელი შეეწყოს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს და შშმ ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების შესაბამისად, მათ ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას, მათი ოჯახების გაძლიერებისა და მხარდამჭერი სერვისების დანერგვის გზით
- უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა გონივრული განთავსება მინდობით აღზრდაში, მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ამასთან განხორციელდეს მინდობით აღმზრდელ ოჯახთა სისტემური და რეგულარული გადამზადება ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების სფეროში
- მისანვდომი ფორმით მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების ინფორმირება არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ
- უზრუნველყოფილ იქნას სერვისების უწყვეტობა, სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული 18 წელს მიღწეული პირებისთვის, მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მხარდაჭერთი სერვისების შეთავაზების გზით
- განხორციელდეს ძალადობის მსხვერპლ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა გამოვლენა და მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
- მოხდეს ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის იმგვარად გაუმჯობესება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ქალების და გოგონების საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიწოდება

- უზრუნველყოს სათემო და სარეაბილიტაციო სამსახურების გაძლიერება, მათ შორის, გაიზარდოს თემზე დაფუძნებული მობილური გუნდების რაოდენობა და გააფართოოს მათი საქმიანობის გეოგრაფიული არეალი
- დროულად უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებულ დაწესებულებათა მონიტორინგისა და კონტროლის სისტემური მექანიზმის დანერგვა
- მოახდინოს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით განერილი აქტივობების დროული იმპლემენტაცია

#### **სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრაფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დასვინა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:**

- აიკრძალოს სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში მყოფი ბენეფიციარების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის ან/და გადაყვანაზე მუქარის, დასჯის მეთოდად გამოყენება
- დაწესებულებაში არსებული კონფლიქტური სიტუაციის დეექსკალაციისა და მედიაციის მიზნით გატარდეს ღონისძიებები, მათ შორის მოხდეს სხვა ორგანიზაციების ფსიქოლოგიური სამსახურების ჩარევა
- ბენეფიციარებზე ძალადობის პრევენციის მიზნით, მოხდეს ძალადობის ფაქტების დროული იდენტიფიცირება/რეგისტრირება და ძალადობის მსხვერპლთა შესაბამისი სამართლებრივი, სოციალური, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით უზრუნველყოფა
- უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში რთული ქცევის მართვის კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინისა და პროტოკოლის შემუშავება, სადაც ეტაპობრივად იქნება განერილი აგრესიის მართვის არავერბალური და ვერბალური პროცედურები, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული საკითხები აისახოს შინაგანანგესში
- განხორციელდეს ინსტიტუციების პროფესიული და დამხმარე პერსონალის გადამზადება შშმ ბავშვთა სპეციფიურ საჭიროებებთან, ფსიქიატრიული შემთხვევის/რთული ქცევის/ძალადობის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე

## სენატორული საარჩევნო კომისიას

- განხორციელდეს საარჩევნო უბნების სრული ადაპტირება და ხელი შეეწყოს შშმ პირთა მონაწილეობასა და ჩართულობას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განხორციელდეს სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ დანესებულებებში ჩარიცხულ შშმ ბავშვთა საჭიროებების კვლევა და შემუშავდეს დიფერენცირებული მონაცემთა ბაზა
- უზრუნველყოფილი იქნას საგანმანათლებლო პერსონალის ცნობიერების ამაღლება შშმ ბავშვთა საჭიროებების შესახებ, მათ შორის, მოხდეს სპეც. პედაგოგებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის საკითხებზე სწავლების ორგანიზება
- შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდეს საგანმანათლებლო დანესებულებების ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, სასწავლო პროცესის და მასალების ადაპტაცია, შესაბამისი კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვა, ასევე, განხორციელდეს საგანმანათლებლო მიზნებისთვის განკუთვნილი ტრანსპორტირების საკითხების მონერგება
- სპეციალური მასწავლებლების და ფსიქოლოგების რაოდენობის განსაზღვრის სარეკომენდაციო ხასიათი ჩანაცვლდეს ნორმატიულად სავალდებულო მითითებით და გადაიხედოს სპეც. მასწავლებლისა და ფსიქოლოგების რაოდენობა
- დაინერგოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მონაწილის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული დაფინანსების მოდელი
- შშმ ბავშვთა მშობლებს გაენიოთ შესაბამისი მხარდაჭერა ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად, მათი შვილების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის მიზნებისთვის
- განხორციელდეს ეფექტური რეფერალური მექანიზმის დანერგვა, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელიც უზრუნველყოფს განათლების სისტემის მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების მოძიებას და ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, ამასთან, ტრანზიციის პროცესის ეფექტურად წარმართვას
- ხელი შეეწყოს პროფესიული განათლებაში შშმ პირთა ჩართულობას და სასწავლო პროგრამების თემატური განფენილობის ზრდას, ამასთან გადაიხედოს პროფესიული განათლების შესახებ კანონში არსებული ხარვეზები შემდგომი დახვეწის მიზნით

- სპეციალიზებული სასკოლო განათლება განხილულ იქნას, როგორც უკიდურესი და დროებითი შესაძლებლობა შშმ პირთა განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს და ამოქმედდეს აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა მეინსტრიმულ განათლების სისტემაში შეყვანის გეგმა

### შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- გატარდეს ეფექტური ღონისძიებები შშმ ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის გამოვლენისა და შემთხვევაზე ეფექტიანი რეაგირების მიმართულებით, მათ შორის ხელი შეეწყოს სახელმძღვანელო წესების შემუშავებასა და განხორციელებას
- უზრუნველყოფილ იქნას სოციალურ სამსახურთან კოორდინირებული მუშაობა შშმ ბავშვების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით
- განხორციელდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ შშმ ბავშვთა დიფერენცირებული სტატისტიკის წარმოება
- გატარდეს სათანადო პრევენციული და მონიტორინგის ღონისძიებები შშმ ბავშვების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩათვლით
- უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ოჯახში ძალადობის გამოვლენას და შემდგომ რეაგირებას

### საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

- მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, დროული და ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით.